

1

ბიბლი



გვირგვინით სავსე  
სამოთხლო მხარე,  
დღეს გამარჯვების  
გულით მღელვარე.

იდიდი, ამ ხმას  
სხვაში ვერ გარეშ:  
ეს სიმღერაა  
საქართველოსი!  
გალაპიონი



გადაიხსნა მართალი  
კაცის გულივით ატვის ხე!  
კვირტმა თქვა თავის სათქმელი, —  
მე ენას როგორ ავიხვევ!  
მაისო, თეთრი მტრედების  
ფრთა მშვიდ ცას წელსაც გაჰკარი,  
ჩვენი ლამაზი პლანეტის  
შენ ხარ პირველი მაყარი!  
სხვას, — მავალს კილით კიდემდე —  
სიკეთე დაეღუოდა,  
შენ ხილს არ გასდებ სხვაგვარად,  
თუ გასდებ — სამეგობროდა!  
გართმევდა თვალის სინათლეს, —  
თვალი თვითონვე დაიფსო, —  
დაასამარე ფაშისში —  
შენ, გამარჯვების მაისო!  
წითელ დროშებით დაზვიანე  
დედსამშობლოს მთა-ბარი,  
გახსოვს, შენ გახსოვს, მაისო,  
ფოლადის მხედართმთავარი.  
მისი და ხალხის ნაჭერი  
ფიცი — ნაწრთობი სიმათლე,  
რწმენა — სიწმინდის ზეიმი,  
სინდისი — რწმენის სიმაღლე!



შენ ახლაც ხედავ თვალნათლივ  
ტყვიან რომ ვერ მოვრია, —  
ქანთარიაა მელიტონ!  
და იქვე — ეგვროვია!  
ვერ დავასრულებ შენს სურათს  
(შორს უწევს რადგან შენი მზე),  
გვეპატიჟები ხელდახელ  
ბეჭდვითი სიტყვის ზეიმზე.  
გაზეთის, წიგნის, ყურნალის,  
თუ არ ვუჩივით სიმცირეს,  
ეს იმიტომ, რომ სამთავი  
მაისით შემოგვცეცინებს.  
ვბეჭდავთ ქორწილის უწყებებს,  
წერილებს, პირად ბარათებს,  
მოსაწვევები ქელეხშიც  
სულ მალე შემოახათებს.  
მოგვეძალა და ეგ არი,  
დაგვახრჩობს ბეჭდვის მანია,  
ზოგი სიღრმეში არ მიდის,  
შეხედავ — მარტო განია.  
ეს ისე... კბილი „ნიანგის“  
რომ არ დაჩლუნგდეს, დაბლაგვდეს,  
რომ ჩემი ლექსი — მილოცვა  
მარტო ხბოს ბლავილს არ ჰგავდეს!  
თუმცა ყოველთვის გვალხენდა,  
ავგრიტაცებდა ხმა მისი,  
მაინც სხვაგვარად ბიძინებს  
ეს — მესამოცე მაისი!



**ჩამდენჯარ** გვსმენია, ადამიანს პო-  
ეტური სული აქვსო. ადამიანის სული  
სიმებისაგან შედგება. გამოჰკრავ სი-  
მებს და ადამიანის სული ათასნაირი ჰან-  
გებით ამღერდება. ოღონდ უნდა იცო-  
დე, რომელ სიმებს გამოჰკრა თითი, ან  
როგორი ძალით. არიან ადამიანები, სი-  
მების მაგივრად დაჭიმული ფოლადის  
მავთულები რომ აქვთ სულში. იმათ  
თითი კი არა, ორივე ხელით რომ დაეზ-  
ლაუჭო და შენსკენ მოზიდო, ძვრას ვერ  
უზამ. რას იზამ, ასეა და... ყველა ადა-  
მიანი ერთნაირი ხომ არ იქნება?! როცა  
კაცზე ამბობენ, პოეტური სული აქვსო,  
სწორედ ისეთი კაცი იგულისხმება, რო-  
მელსაც ჩონგურის სიმები აქვს. მისი  
ამღერება სულ იოლი საქმეა. ზოგიერთი  
ადამიანის პოეტურ სულს შეიძლება სი-  
მები ჩონგურის ჰქონდეს, მაგრამ ისე  
მოშლილი და არეული, რომ ვერაფრით  
თავს ვერ გაართმევ. აი, ჩემს უფროსს  
რომ შეხედო, სახალხო პოეტს ჰგავს,  
სიმებიც თავის ადგილას გაუბია, გულ-  
უბრყვილო და მიაშიტი კაცის შთაბეჭ-  
დილებასაც სტოვებს. ამ ზორციელ  
„ლირას“ ზოგიერთი თანამშრომელი  
როგორც უნდა ისეთ ჰანგზე ამღერებს,  
ზოგიერთი თანამშრომელი კი ისე მოუ-  
რიდებლად ჩაუყოფს ხელს სულში და  
ისე იოლად მოქაჩავს საჭირო სიმს, რომ  
გავიკვირდება: ასე იოლად როგორ მია-  
გნო სიმის იმ ბეგრას, რაც მისთვის იყო  
საჭირო. არ ვიცი, ეს რითი აიხსნება,  
თანამშრომლების ოსტატობით, თუ უფ-  
როსის უმწეობით?!

მეც ვცადე ჩემი ბედი და უფროსის  
სულისკენ წავიდე ხელი. მის სულში  
ძალიან ბნელოდა! ხელსაც დიდხანს  
ვაფათურებდი, რაღაც შემეშალა მგო-  
ნი. მოვწიე ერთ-ერთი სიმი და... ვაი,  
ჩემს თავს უბედურს, ისეთი ხმა გამოს-  
ცა, რომ უფროსმა ცერად გადმოხედა  
ზევიდან და ტელეფონის ყურმილი ცი-  
ვად დადო. მე ისე დავიბენი, რომ უნებ-  
ლიედ მეორე სიმს წავავლე ხელი, აკან-  
კალეხულმა ჩემსკენ მოვზიდე, სიმი ად-  
გილიდანაც ვერ დაეძარი. უფროსმა სა-  
თვალე მოიხსნა და შავი თვალები მოზ-  
ვერით დამიბრიალა. მე სიტუაციის  
გამოსწორების მიზნით ორივე ხელით  
ჩავაფრინდი საბედისწერო სიმს და მო-  
ვქაჩე... აჰა! შენც არ მომიკვდე, სიმი  
უკვე ფოლადის მავთულში გადაზრდი-  
ლიყო და არხენად გრძნობდა თავს.  
უფროსმა ყურმილი აიღო და საჭირო  
ნომერი აკრიფა. მე ფანჯარაში გავიხე-

დე, შევლას ვეძებდი... უფროსი მეულ-  
ლეს ესაუბრებოდა. მე ჩუმად გავაპარე  
ხელი მისი სულისაკენ და მოურიდებ-  
ლად ფათური დავიწყე. ყველა სიმი ფო-  
ლადის ზამბარებად ქცეულიყო. ყველას  
სათითაოდ ვამოწმებდი, მაგრამ რა და-  
გიკარგავს და რას ეძებ?


სუფთა ფოლადის სიცივე თითებიდან  
ჩემს ტანში გადმოდიოდა.

უფროსი მეულელსთან საუბრობდა.  
ერთხელ კიდევ მოვაფათურე ხელები  
სიბნელეში და ოი, საკვირველებავ,  
სადღაც სულის კუნჭულში ობოლ სიმს  
მივაგენი, ნამდვილ სიმს, აი, მეგრულ  
ჩონგურს რომ უკეთებენ. მივაგენი და  
ოთხივე თითით ჩავაფრინდი. გულმა  
ბაგაბუგი დამიწყო, ვიფიქრე მთლად არ  
ვყოფილვარ განწირული-მეთქი და ობ-  
ოლი სიმი ჩემსკენ მოვწიე, მოვწიე იმ  
გატაცებით, იმ პოეტური შემართებით.  
როგორც ხელოვნის ექსტაზს შეეფე-  
რება უკვდავი შედეგის შექმნის დროს  
და...

ღმერთო, შენ მიშველი! სიმი აბრე-  
შუმის ძაფივით გაწყდა და ჩემმა თი-  
თებმა სიციარიელები შეითამაშეს.

ღირექტორმა ყურმილი მთელი ძალით  
დაახეთქა, მარცხენა ხელი ზარს დაჭი-  
რა და დაიღრიალა:

— გაეთრიე გარეთ!..



— ღირექტორის კამინაჰი რომელ  
სართულზეა?

— აგერ იქ, კონდისირებულ კამ-  
რის კაპრატი რომ ღვას.





— სულ ჩემი ბრალია, ამდენ არ უნდა დამეძახა, „დუბ-ლიონა“ გიყიდვ-მეთქი!

## რა კენა „ლილეო?“

— „ლილეო, ლილეო!“ — ასეთი სათაურით დაიბეჭდა „ნიანგის“ მე-15 ნომერში წერილი, რომელაც ამხელ-და ნაკლოვანებებს ტურის-ტა მომსახურების საქმეში, მესტიის რაიონში.

წერილი აგვისტოში დაი-ბეჭდა.

შესვენებამდე პასუხი არ მიგვიღია.

შევასხენეთ და გვიპასუ-ხეს, რომ „წერილში აღნიშ-ნული ნაკლოვანებების აღ-მოფხვრისათვის ჯერ კიდევ ძალზე ნელი ტემპით მიმდი-ნარეობს მუშაობა“. საქუ-რორტმშენის წყალტუბოს ტრესტს მესტიის ტურისტუ-ლი ბაზის „უშუას“ შენობის შეკეთება „ჩვემოდას“ დაუ-წყია: შეკეთდა სასადილო დარბაზი, ჭურჭლის სარეც-ხი მანქანა, რეკონსტრუქცია გაუკეთდა სადრენაჟო არხს და ამით გადაიკეთა შენობა-ში შიდაწყობის შემოღწე-ვის შესაძლებლობა, მაგრამ წყალი მაინც ჩამოდის. თუ-

რმე, ნუ იტყვიან... სახურავი-დან და აივანიდან. ამის აღ-მოფხვრა კი მთლიანი შენო-ბის ხელახლა გადახურვით ყოფილა შესაძლებელი. მე-რედა, როდისღა? ტურის-ტული სეზონი ხომ კარზეა მომდგარი?

დაბა მესტიაში პურისცხო-ბის საკითხიც გადაუჭრელი რჩება: კვლავ პრიმიტიული წესით წარმოებს პურის ცხო-ბა (შეშით გამოცხვარი პუ-რი, იცოცხლებ, გემრიელია, მაგრამ გაზრდილ მოთხო-ნილებას გაუძლებს?), ხოლო ცეკავშირის პურისცხო-ბის სამმართველოს (მმართველი რეზვიანშვილი) დაბაში პუ-რისცხო-ბის მექანიზების თა-ობაზე მესტიის რაიკოლბე-რაციის გამგეობის მიერ 1976 წლის ოქტომბერში გაგზავ-ნილ წერილზე დღემდე არ გაუცია პასუხი.

და, ალბათ, რაიკოლბერა-ტივის გამგეობასაც შესე-ნება ვეღარ გაუბედავს.

დრო კი არ ითმენს!

## მოქალაქის სვეტი

### დ ა ზ ო

არის ერთი რამ, — უფრო სწორად, ადამიანური გრძნობა, რომელიც სტატისტიკას და მშრალ ციფრებს არ ექვემდებარე-ბა. ეს გახლავთ ეჭი (!). აბა, ხომ ვერ იტყვით, ამდენ და ამდენ კაცს შეეპარა ეჭვი, ან 7,2 ეჭვის პროცენტი? ვერ იტყვით.

მაგრამ ეჭვს ისეთი ფართო მნიშვნელობა აქვს მსოფლიო მასშტაბით, რომ მისი გვერდზე ავლა არც ისე იოლია. როგორ გინდა აუარო, როდესაც სწორედ ეჭვიანობის ნიადაგზე მიახ-რჩო ოტელომ ის უტურფესი ქალი — დეზდემონა და ეჭვის წყალობით შექმნა დიდმა შექსპირმა შედევრი! საილუსტრა-ციოდ, თუ რაოდენ ძლიერია ეს მცნება, ჩვენ არ შევუდგებით იმის ქრონოლოგიურ აღრიცხვას, რამდენი ქვეყანა იავარუყვია ეჭვს, ალუგვია პირისაგან მიწისა ხალხები და მრავალი სხვა... ეს ისტორიისათვის მიგვინდია!

ეჭვს ჩვენს ქვეყანაშიც ჰქონია დიდი ასპარეზი, ამიტომაც, რომ ქართველ კაცს ათასნაირად უბრუნებია იგი. ეჭვის მი-ტანა, ეჭვის ქვეშ დაყენება, გუმანი (ვისზე გაქვთ გუმანი?), ეჭვის შეტანა, აზრის აღება. არის მოძველებული ფორმაც — დაზო...

„მოშორება საყვარლისა მას შეჰქმნოდა მისად დაზოდ“.

ზოთა

და ბოლოს — ეჭვის შეპარება. აი, სწორედ ეს ეჭვი გვე-პარება, ან, თუ გნებავთ, დაზო გვეპარება, როდესაც გვესმის, რომ ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში ას ძროხაზე სამოცი და ნაკლები ხბო მიიღეს აფხაზეთის, სიღნაღის, ცაგერის, ლენტე-ხის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ცხაპაის, ჯავის, მარნეულის რაიონებში. ასევე იანვარში, შარშანდღითან შედარებით ბატკნებისა და თიგნების მიღებაც შემცირდა და შეადგინა 91 პროცენტი... დაიკარგა 9 პროცენტი. ეს ხომ უზარმაზარი რიცხვია! ჩვენ იოტისოდენა ეჭვიც არ გვეპარება სტატისტი-კის მკაცრ მონაცემებში, მაგრამ ის ძველი დაზო გვიღრღნის გულს, რომ საკმარისია რესტორანში თუ გზისპირა დუქანში მაგიდას მიუჯდეთ და მაშინვე უეჭველად ჩაგჩურჩულებენ (თუ ეჭვი არ შეეპარათ შენში...):

— კაი ხბოს მწვადი გვაქვს!..

— ბატკნის ჩაქაფულს ხომ არ ინებებ?


როგორც კი ოდნავ დააქნევთ თავს, მაგიდაზე, თქვენს ცხვირწინ ბაღდადელი ქურდის ყოვლისშემძლე ჯინივით, თვა-ლის დახამხამებაში გააჩენენ თითქმის ხელისგულზე ამიშიხინე-ბულ ხბოს მწვალებს, გამაბრუებელ, ოხშივარადენილ ბატკნის ჩაქაფულს!

უეჭველად გააჩენენ!

ეჭვი გვიდაგავს გულს, რომ ეს იმ ას ძროხაზე დაკარგუ-ლი ორმოცი ხბოს მწვადას, ან 9 % ბატკნის ჩაქაფულს ხომ არ გვთავაზობენ?!.. (ახლა ამას „ექსკურსიებზე“ ხვზე პაიჭა-რად ჩამოტყავებული თიგან-ბატკანიც მიათვალეთ!..)

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, რომ იმ საშინელი, გაუმართლებე-ლი (!) ეჭვის გულისთვის დაახრჩო ოტელომ დეზდემონა... გამართლებულისათვის?!


ზ. ყორღანაშვილი





(ლწი. სოფ. მაყიფთი)





უსიტყვოდ


## მარტოდმარტო

ყდა ისეთი კოხტა აქვს,  
შვენივლი ოქროს არმია.  
მთელი ფასიც ამ წიგნის  
მარტოდმარტო ყდაშია,

თორემ ის, რაც ყდის შიგნით  
ას ფურცელზე წერია,  
ბევრი არაფერია,  
ან სულ არაფერია!

ძევს!.. ლამის გამყიდველი  
ჯავრით გამოიფიტოს,  
თუ მკითხველი არა ჩანს,  
თვით ავტორმა იყიდოს!

## ბიორგბი უმთავრესი



უსიტყვოდ

## უ რ ა ზ ე ბ ი

● მართალი სიტყვა ისეთი ტყვიაა, რომე-  
ლიც მიზანს არასოდეს აცდებია, თუნდაც ბრმა  
ისროდეს.

● მართალია ზოგს მოკლე კაბა აცვია,  
მაგრამ სამაგიეროდ ენა აქვს გრძელი.

● გრძელ გზას, მოკლე სინდისით ვერ გაი-  
ვლი.



უსიტყვოდ

## კონტროლის სიღრმე

ბაზრის კონტროლი გახლავართ,  
სამკლასიანი ცოდნითა,  
მე, უსწავლელი, გოჭაობ,  
ნასწავლი ცხოვრობს ცოდვითა.

დღეში თუ ორასს ვიჯობავ,  
თქვენ რა?! ეს ბევრი გგონიათ?!  
ხან ხუთასამდე ავდივარ,  
ასი კი მონაგონია.

მე უსწავლელი თუკი ვარ,  
შვილებს ვასწავლი ფულითა,  
სახლი ავაგე, ავაგე  
ბროლით და ფაიფურიტა.

უმანქანებოდ შვილები,  
სიძენიც არა მრჩებიან,  
საიდან? როგორ? რა გზებით?  
მთელი ბაზარი ჩემია!

უკვე თხუთმეტი წელია,  
რაც მე ბაზარში ვიჯობავ,  
კონტროლს კონტროლი არა მყავს,  
ლამის ფულებში ჩავიხრტო!

## უარაღმან წიკლაური

მარტივი კორიუნე

## ქ უ ს ს ი კ ე დ ი ლ ი

კუმ ფეხი გამოყო და უკებ დაკურდა...  
და განა იმ წუთში ვინმე დაფაცურდა?!  
გულდამა მწოლარე სოლს ლეკდა ფართხალით,  
არ გადმოაბრუნა არავინ საწყალი...  
და როცა მარხავდნენ, გამოჩნდნენ „ბიჭები“,  
უხვად შეაწიეს გულთბილი სიტყვები...

სომხურიდან თარგმან სტაფანე მხარგრძელმა

## სიმაღლის მსხვერპლი

იგი მაღალი ტანისა იყო. ცხოვრობდა ხუთ-  
ოთახიან მაღალკერძიან ბინაში. ჰქონდა მაღალი  
თანამდებობა, მაღალი ხელფასი, დაბალი ცოდ-  
ნა, შემონახული ჰქონდა სიმაღლის მიხედვით  
დაწყობილი დიდი თანხა. სულ მაღლა იყურე-  
ბოდა, ღმერთს ევედრებოდა რაიმე მაღალი სა-  
შუალებით უფრო აემღლებინა.

ღმერთმა შეისმინა მისი გოდება და გამოა-  
ხა მაღალი საშუალება...  
იგი მაღალი წნევით გარდიცვალა.

# წვრთნა თუ...

(ისევ „მეზინსტაოსნის“  
გარეშე)

შატმანის მონათრობი გახსოვთ,  
რა თქმა უნდა:

„ამა ქალაქსა წესია, დღესა მას  
ნავროზობასა,

არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა  
ვინ წავა გზობასა“.

ჩემი ამუშინდელი კვლევის საგანი  
ასეთია: ნაპროზობა თუ... ნაპრო-  
ზობა! ზოგიერთს ნევროზები დღეს  
გაჩენილი ჰგონია, მაგრამ ეს რომ  
ასე არაა, იმავე ფაქტის ნაამბობი-  
დანაც კარგად მტკიცდება. გაიხსე-  
ნეთ, მაგალითად, პოემის ის ადგილი,  
სადაც ფაქტები ყვება:

„დღე მოვიდა ნაპროზობა, დედო-  
ფალსა ძღვენი ვსძღვენით.

ესე იგი, ყოფილა დედოფალი  
(„კარაღვეა“!), ვისაც თურმე ძღვენ-  
სა სძღვნიდნენ. მაინც, რა უნდა ყო-  
ფილიყო ეს ძღვენი! ვისაც ამგვარი  
დეტალები აინტერესებს, მან კეთილ  
ინებოს და კიდევ ერთხელ გადაიკი-  
თხოს „ვეფხისტყაოსნის“ ის ადგი-  
ლები, სადაც მდიდრული საჭურჭ-  
ლები და მათში დაცული ლარია  
აღწერილი — ოქრო, ვერცხლი, თვა-  
ლმარგალიტი, აყიყი, ბადახში, ლა-  
ლი, საფირონი, ფირუზი და ა. შ.  
აი, რა საჩუქრები უნდა მისვ-  
ლოდა დედოფალს („კარაღვეას“)  
ნევროზობა დღეს! დიას, არა ნაპ-  
როზობა დღეს, როგორც ეს პოემა-  
შია, არამედ ნაპროზობა დღეს!

მართლაცდა, რაა გასაკვირი იმაში,  
რომ დედოფლისთვის საჩუქრების გა-  
დაცემას ვაჭრებისა და სავაჭრო  
ფულიანი ხალხის ნერვიულობა გა-  
მოეწვია, ნაპროზობა ატმოსფერო  
შექმნა! ამიტომ, ვფიქრობთ, ჩვენი

წაკითხვა სწორია. მას ასე:

დღე მოვიდა ნაპროზობა, დედო-  
ფალსა ძღვენი ვსძღვენით.  
მოკლედ, ნევროზები მაშინაც ყო-  
ფილა. ვერ გეტყვით, იყო თუ არა  
ტრიოქსანი, სედუქსენი, ლუმინალი  
და მისთანანი, ან იღებდნენ თუ არა  
დაზარალებული საქმოსნები ძილის-  
წინ ბრომიდებს, მაგრამ უეჭველია,  
რადაც საშუალებები ნევროზების  
სამკურნალოდ უსათუოდ უნდა ჰქო-  
ნოდათ.

მომავალ შრომებში შევეცდებით ამ  
საკითხსაც შევხებით, თუმცა, ვიმეო-  
რებთ, ერთი რამ ამთავითვე ცხადია:  
მედებს სამშობლოში, თურმანძებში-  
სა და ფანასკერტელთა ქვეყანაში,  
წარმოდგენილია არ სცოდნოდათ  
ნევროზების სამკურნალო საშუალე-  
ბანი.





გარეკანი  
პირველი

## გენერალ და პასუხობთ!

...1976 წლის ოქტომბერში „ნიანგის“ რედაქციას განცხადებით მიემართე, სადაც ვთხოვდი დახმარებას, რათა დაჩქარებულიყო ჩემი ავარიული ბინის იატაკის გამოცვლა“.

ფოთი. პლეხანოვის ქ.  
№ 6  
ნ. ქ.

შევდივართ თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ თქვენი საცხოვრებელი ბინის ავარიულობის გამო, ისევ გამოვდივართ.

ახლა, თუ იკითხავთ, კარგად მოგეხსენებათ, თქვენი საჩივარი რედაქციამ მიიღო თუ არა (ოქტომბერში), მაშინვე ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა (ნოემბერში) რეაგირებისათვის. ფოთის საქალაქო საბჭომ პასუხი გამოგიგზავნა (დეკემბერში), რომ „...თქვენი ბინის ოთახების იატაკების გამოცვლა დაწყებულია და იგი დამთავრდება მ/წლის 10 დეკემბრისათვის“.

1977 წლის მარტში ისევ გვწერთ, რომ „...ჩემი ბინის რემონტი მართალია დაწყებულია, მაგრამ დღემდე არ დამთავრებულა. გთხოვთ ხელმეორედ ჩარევას“. ჩარევაზე არ დაგზარდით, არც რჩევაზე დაგზარდებით, მაგრამ

მარტო რჩევით რემონტი რომ კეთდებოდეს, მაშინ სარემონტო კანტორას იურიდიული კონსულტაცია უნდა ერქვას.

—:—:—

„დუისის გზა მოუწესრიგებელია, წლების მანძილზე კეთდება და ვერ გაკეთდა. გთხოვთ დაგვეხმაროთ“.

ახმეტა. მოქ. მ-ი.

რედაქცია გზას ვერ გაიყვანს, სამაგიეროდ თქვენი წერილი გაიყვანა იმ ორბიტაზე, სადაც საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს თელავის საგზაო - საექსპლუატაციო № 2 უბანია, რომელიც წლების მანძილზე ატარებს ამ გზის მხოლოდ მოხრეშვას, შავი საფარის მოწყობაზე კი არ ზრუნავს, თუმცა 1976 წელსაც გეგმით გათვალისწინებული იყო 2 კმ-ზე ჩატარებულიყო ეს სამუშაო, მაგრამ არ ჩატარდა.

ახმეტის რაისაბჭოს აღმასკომმა გვიპასუხა რომ ახმეტა-დუისი-ბირკიანის გზა რესპუბლიკანური გზების ქსელშია აღებული და მის მოვლა-პატრონობას ზემოხსენებული უბანია ახორციელებს.

ახორციელებს კი?

შანი სიხარულიძე

## უამოსული წერილის კვალდაკვალ


„ნიანგის“ რედაქციამ გასული წლის აგვისტოში წულუკიძის რაისაბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა წერილი, სადაც მითითებული იყო წულუკიძის რაიონის სოფელ გორდის მაჭაყეთის უბნის გზისა და ხიდის უვარგისობაზე.

მალე რაილმასკომიდან მივიღეთ პასუხი, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა და, რომ „მიღებულია ზომები გზისა და ხიდის შესაკეთებლად“.

ახლანა რედაქციაში შემოვიდა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ წულუკიძის რაიონის სოფელ გორდის მაჭაყეთის უბნის გზა და ხიდი დღემდე სავალალო მდგომარეობაშია.


„ნიანგი“ ეკითხება წულუკიძის რაილმასკომს, რას გულისხმობდა „ზომების მიღებაში“?

ნ.ხ. ჯ. ლოლუასი



— ორი წლის წინ დაუპიწია და მიხიანები საწარმოო ტრამვის კენსი ას თხოულობენ!

ნ.ხ. ზ. ზირცხალავასი



მომგელთა საერთო ძრება




საბჭოთა  
გაზეთი




სტრასბურგში ადამიანის უფლებათა  
დაცვის ევროპის სასამართლომ გამოი-  
ტანა გადაწყვეტილება, რომელიც „დეი-  
ლი ტელეგრაფის“ განცხადებით, „მწარე  
დარტყმა იყო ბრიტანეთის მთავრობისა-  
თვის“.

ამ პროცესმა ცხადყო, რომ ინგლისის  
საოკუპაციო ჯარების მიერ ჩრდილოეთ  
ირლანდიაში ჩადენილი დანაშაულობანი  
ცალკეული „შეცდომები“ კი არ არის,  
როგორც ამას ლონდონი ამტკიცებს,  
არამედ ოლსტერში ძალით „წესრიგის  
დამყარების“ წინასწარ შემუშავებული  
პროგრამაა, რომელიც უკვე შეიღი წე-  
ლია გრძელდება.

მხვიდლობის მაჰინეზელი



ნახ. ბ. ლომიძისა



მთავარი რედაქტორი ჯორჯან გეგაზაშვილი | საზოგადოებრივი კოლეგია: ჯ. გოლაშვილი (პო. რედ. პოლიტიკა), ჯ. კაციაშვილი,  
ჯ. ლოლა, ჯ. ლომიძე, ნ. მაღალაშვილი (პოეტ. რედ.), ჯ. ნიშნაშვილი, ჯ. სიხარულიძე (პოეტ. მდივანი), ჯ. ფირცხალაშვილი, თ. ხაიბიძე.  
© ტექნიკური რედაქტორი ა. გუგუშვილი © საბრძოლო და ს. ჯორჯაშვილი „ნიანგი“. © თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42,  
© საქართველოს კ. ცკ-ის გამომცემლობა, © გადაცემა ასაწოდებლად 23/11-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/IV-77 წ. ქალაქის ზომა 70×108 1/8  
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. საბრძოლო-საგამომცემლო თაბანი 1.7 © საქართველოს კ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის  
ქ. 14. © შეკვ. 1039 უფ. 00668 ტირ. 141.000 © თბილისი, პრ. რუსთაველი № 42, სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. © Издательство  
ЦК КП Грузии. © Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.  
ტელეფონები 59-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ნახატი თემების ავტორე-  
ბი: ნ. მაღალაშვილი, მ. აბა-  
შვილი, ჯ. დეილაშვილი, ჯ. ლო-  
ლაშვილი, ა. ერასტი, ი. უშინი-  
შვილი, თ. მარტოშვილი,  
ა. აღმაშენებელი.